ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№19

ქ. თბილისი; 3 მაისი, 2018 წ. 13:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)
ნინო ლაცაბიძე
ავთანდილ ცინცაძე
თინათინ ნიბლოშვილი
ქეთევან მამულაშვილი
გიორგი ჩაკვეტაძე
ელენე ოზაშვილი
ლილე ლიპარტელიანი

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის №212 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე - **ირმა ჯავახიშვილი**

ქალაქ თბილისის №212 საჯარო სკოლის დირექტორი - **მედიკო მირზაშვილი**

შპს „ჰერმესი"-ს დირექტორი - **მიხეილ ძაგანია**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის იურისტი - **მარიამ ჩივაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი - **ირაკლი თავართქილაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი - **თიკო ყოლბაია**

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე კახაბერ გულედანის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

2. "სსიპ ქალაქ თბილისის #212 საჯარო სკოლისათვის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

3. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-103 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფარი ფართით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის №28-116 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

5. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

6. „ქ. თბილისში, ზაჰესის დასახლებაში, მშვიდობის ქუჩა N14-ში (საკადასტრო კოდი: 72.12.05.046.01.505) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

7. „ქ. თბილისში, ლილოს დასახლების, მე-4 კვარტალის, კორპუს #11-ში (საკადასტრო კოდი: 01.19.27.007.015.01.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

8. „ქ. თბილისში, ლილოს დასახლების, მე-2 მიკრორაიონის კორპუს #5-ში (საკადასტრო კოდი: 01.19.27.002.003.01.025) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

9. „ქ. თბილისში, ლილოს დასახლების, I მიკრორაიონის კორპუს N2ბ-ში (საკადასტრო კოდი: 01.19.27.009.001.01.019) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

10. “ქალაქ თბილისში, პარკი „მზიურის“ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.14.14.005.156) არსებული 125300 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 6 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული სავაჭრო ობიექტის - ჯიხურის პირდაპირი განკარგვის წესით გიგი ანთაძისთვის (პ/ნ: 01017042136) სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

11. „ქ. თბილისში, თამარაშვილის შესახვევი №8-ის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების 821.00 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.07.008.112) და ქ. თბილისში, თამარაშვილის შესახვევი №6-ში იამზე მაისაიას (პ/ნ 62001007924), ნონა ბაქრაძისა (პ/ნ 01008030050) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.14.07.008.012) მესაკუთრეთა უფლებების უცვლელად გაერთიანების, აღნიშნული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და იამზე მაისაიასა (პ/ნ 62001007924) და ნონა ბაქრაძესთან (პ/ნ 01008030050) გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 9 აგვისტოს №29.14.587 განკარგულებასა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 აგვისტოს №323 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

12. „ქალაქ თბილისში, ლიბანის I ჩიხი #2-ში (საკადასტრო კოდი: # 01.11.03.004.005) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

13. “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, გეგეშიძის ბაღის მიმდებარედ მრავალდონიანი მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ოპერირებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის გადმოცემის თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

14. “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, ვარკეთილის მეტროს მიმდებარედ მრავალდონიანი მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ოპერირებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის გადმოცემის თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

15. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, რკინიგზის სადგურის მიმდებარედ მრავალდონიანი მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ოპერირებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის გადმოცემის თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა - **ლევან ჟორჟოლიანმა** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე **კახაბერ გულედანის** დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

კომისიის თავმჯდომარის განცხადებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგებლის თანამდებობაზე წარმოდგენილი **კახაბერ გულედანის** სამუშაო გამოცდილება, უდავოდ იძლევა საშუალებას, რომ აღნიშნულ თანამდებობაზე მხარდაჭერილ იქნას წარმოდგენილი კანდიდატურა.

აზრი გამოთქვეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა **ლევან ჟორჟოლიანმა** აღნიშნა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი იურიდიულად ძირითადად გამართულია, თუმცა სასურველია სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" **61-ე მუხლის მე-2 პუნქტი,** რომლის თანახმადაც, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს დადგენილება, ხოლო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს განკარგულება.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი" წევრმა ქალბატონმა **ელენე ოზაშვილმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა - **ლევან ჟორჟოლიანმა** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილი "სსიპ ქალაქ თბილისის #212 საჯარო სკოლისათვის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ბატონი **ლევან ჟორჟოლიანის** განცხადებით, წარმოდგენილია „ქალაქ თბილისის №212 საჯარო სკოლისთვის" **ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელის მინიჭების** საკითხი, რომელთან დაკავშირებით, №212 საჯარო სკოლის დირექტორისა და სამეურვეო საბჭოს წევრების მხრიდან გამოთქმული იქნა სურვილი, შენარჩუნდეს სკოლის ძველი ნუმერაცია და ამავე დროს სკოლას მიენიჭოს ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელი. შესაბამისად სსიპ „ქალაქ თბილისის #212 საჯარო სკოლის" სახელწოდება ჩამოყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„სსიპ - ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის თბილისის #212 საჯარო სკოლა"

ქალაქ თბილისის №212 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის **ირმა ჯავახიშვილის** განმარტებით, სოფელი შინდისის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცევამდე, აღნიშნული სკოლა გახლდათ **ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის.** მთაწმინდის რაიონის შემადგენლობაში გადასვლის შემდგომ, სკოლამ დაკარგა აღნიშნული სტატუსი და მას მიენიჭა მხოლოდ ნუმერაცია.

ირმა ჯავახიშვილმა ასევე დასძინა, რომ სოფლის მოსახლეობის მოთხოვნისა და სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, გამართლებული იქნება №212 საჯარო სკოლას დაუბრუნდეს **ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელი.**

ქალაქ თბილისის №212 საჯარო სკოლის დირექტორის **მედიკო მირზაშვილის** განცხადებით, ნიკოლოზ ბარათაშვილს, საზაფხულო რეზიდენცია ჰქონდა სწორედ სოფელ შინდისში და წლების განმავლობაში ცხოვრობდა იქ. ასევე, სოფელ შინდისში არსებული საბავშვო ბაღი გახლავთ **ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის.**

მედიკო მირზაშვილმა დასძინა, რომ სკოლაში ფუნქციონირებს ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის მუზეუმი, ხოლო ყოველი წლის 20 ოქტომბერს, ტრადიციის სახით, სკოლა აღნიშნავს პოეტის დაბადების დღეს. შესაბამისად, მშობლების, ბავშვებისა და სკოლის დირექციის დიდი თხოვნა გახლავთ, სკოლას დაუბრუნდეს სტატუსი და მიენიჭოს ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელი.

აზრი გამოთქვეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - **ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა,** სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარემ - **თინათინ ნიბლოშვილმა** და კომისიის სხდომაზე დამსწრე სხვა წევრებმა დადებითად შეაფასეს ქალაქ თბილისის №212 საჯარო სკოლისთვის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელის მინიჭების საკითხი.

კომისიის თავმჯდომარემ დაამატა, რომ განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში ნაცვლად საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" **24-ე მუხლის მე-2 პუნქტისა** უნდა მიეთითოს ამავე კანონის **68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტი,** რომლის თანახმად, თბილისის საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილების განხორციელება.

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, განკარგულების პროექტის სამართლებრივი საფუძვლებიდან ამოღებულ უნდა იქნას ,,საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის **N194 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტი**, რადგან აღნიშნული პუნქტი ეხება საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოსთვის სკოლისთვის სახელის მინიჭების შესახებ განაცხადის წარდგენას.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3. შპს „ჰერმესი"-ს დირექტორმა - **მიხეილ ძაგანიამ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის მიერ წარმოდგენილი „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-103 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ითვალისწინებს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის დადგენილებაში ცვლილების შეტანას.

მომხსენებლის თქმით, მოქმედი წესის მიხედვით დადგენილია მუნიციპალიტეტის უფლებამოსილება სასაფლაოს ტერიტორიაზე წინასწარ განსაზღვროს ძეგლების, სასაფლაოების ქვების და გამოსახულების ზომები. მაშასადამე, მთავრობის უფლებამოსილება დაკონკრეტებულია და საფლავსზედა ნაგებობების მხოლოდ ზომებს შეეხება, შესაბამისად, მთავრობის პრეროგატივას სცდება ფორმების განსაზღვრის დადგენა და ამ მიმართულებით საკითხი დაურეგულირებელია. ხოლო პროექტით, დგინდება, რომ მთავრობას მიენიჭოს უფლებამოსილება წინასწარ ზომებთან ერთად დაადგინოს ძეგლების, სასაფლაოს ქვების და გამოსახულებების ასევე ფორმებიც. ამასთან, რადგან წესში არ არის დაკონკრეტებული თუ რომელ ტიპის სასაფლაოზეა საუბარი, შესაბამისად რეგულაცია ეხება, როგორც საქალაქო, ასევე კერძო სასაფლაოებსაც და პანთეონებსაც.

მიხეილ ძაგანიამ დასძინა, რომ აღნიშნული ცვლილების განხორციელება გამომდინარეობს იქედან, რომ დღეის მდგომარეობით, სასაფლაოების ტერიტორიაზე საფლავების მიმდებარე ტერიტორიაზე ბევრია უსახური ნაგებობები, რომლებიც შეუფერებელია სასაფლაოებისთვის და ხშირ შემთხვევაში საფეხმავლო ბილიკებზე გასასვლელს ზღუდავს, წარმოდგენილი ცვლილებით, კი მთავრობას გაუჩნდება უფლებამოსილება ზომებთან ერთად შეზღუდოს ასევე საფლავსზედა ნაგებობების ფორმები და მოაქციოს ის გარკვეულ ჩარჩოებში.

აზრი გამოთქვეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრმა ქალბატონმა **ნინო ლაცაბიძემ** მომხსენებლის მიმართ დასვა შეკითხვა და დაინტერესდა, არსებობს თუ არა სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის ერთიანი სტანდარტი.

მიხეილ ძაგანიამ განმარტა, რომ აღნიშნული პროცესი შესაძლოა განიხილებოდეს როგორც სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის ერთიანი სტანდარტის შემადგენელი ნაწილი, რომლის ფარგლებშიც მთავრობას გააჩნია უფლებამოსილება სასაფლაოს ტერიტორიაზე წინასწარ დაადგინოს ძეგლების, სასაფლაოების ქვების, გამოსახულებების ზომები, განსაზღვროს საფლავის დასაშვები სიგრძე-სიგანე და ასევე ახალი საფლავების დაგეგმარებისას დაიცვას და გაითვალისწინოს გრძივი და განივი ბილიკები.

მომხსენებელმა დაამატა, რომ აღნიშნულმა პროცესმა შესაძლოა გამოიწვიოს გარკვეული სახის უკმაყოფილება ჭირისუფლებში, ვინაიდან ზემოხსენებული კონსტრუქციები, (რომლის აღმართვის შემთხვევაში იქმნება ბარიკადული ეფექტი) იცავს ჭირისუფალს წვიმისგან.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის - **ლევან ჟორჟოლიანის** თქმით, სასურველია, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ **61-ე მუხლის მე-2 პუნქტი,** რომლის თანახმად მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს დადგენილება.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა ქალბატონმა **ელენე ოზაშვილმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის იურისტმა - **მარიამ ჩივაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფარი ფართით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის №28-116 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის თქმით, წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შედის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზემოხსენებულ დადგენილებაში, კერძოდ იცვლება დადგენილების სათაური და თავშესაფართან ერთად მითითებული იქნება საცხოვრისი, შესაბამისად მთლიანი წესი შესწორდება ამ სათაურის შესაბამისად.

მარიამ ჩივაძემ განმარტა, რომ ახალი რედაქციით ჩამოყალიბებულ წესში მითითებული იქნება, რომ აღნიშნული წესის მოქმედება არ გავრცელდება იმ პირებზე, რომელთა რეგისტრაცია ან/და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფა, შესაბამისი კანონმდებლობით, სხვაგვარად არის დარეგულირებული. გამონაკლისი იქნებიან ის პირები/ოჯახები, რომელთა დაკმაყოფილება საცხოვრისით მოხდა პროექტის - „სოციალური საცხოვრისი კეთილგანწყობილ გარემოში“ ფარგლებში.

ასევე, ახალი რედაქციით ყალიბდება წესის **მე-2 მუხლი** და ფიზიკური პირის უსახლკაროდ დასარეგისტრირებელ ერთ-ერთ კრიტერიუმად განისაზღვრება შემდეგი პირობა:

„1.ფიზიკური პირი (შემდგომში – პირი) უსახლკაროდ დარეგისტრირდება, თუ ის აკმაყოფილებს ყველა შემდეგ კრიტერიუმს:

ა) **2015 წლის 27 ნოემბრამდე რეგისტრირებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (გარდა იმ შემთხვევისა, როცა პირი დაიბადა 2015 წლის 27 ნოემბრის შემდეგ);"**

მარიამ ჩივაძის თქმით, გაიმიჯნა და შესწორდა კომისიის გადაწყვეტილებები და რეკომენდაციების სახეები, თავშესაფარი ფართის დაკმაყოფილებასა და საცხოვრისი ფართის დაკმაყოფილების შესახებ, რომლის შედეგად ზოგიერთ პირს შეეთავაზება ლილოს მიუსაფართა თავშესაფარი (სამსახურის უფროსის ბრძანების საფუძველზე), ხოლო ზოგიერთს საცხოვრისი (მთავრობის გადაწყვეტილებით).

მომხსენებელმა დასძინა, რომ აღნიშნულ წესს ემატება განმარტება იმის თაობაზე, რომ თუ პირი/ოჯახი უარს აცხადებს შეთავაზებულ თავშესაფარზე ან/და საცხოვრისზე, პირს/ოჯახს უფლება აღარ ეძლევა, მომდევნო 2 (ორი) წლის განმავლობაში მიმართოს კომისიას თავშესაფრისა თუ საცხოვრისით დაკმაყოფილების თაობაზე.

მარიამ ჩივაძემ ასევე განმარტა, რომ საცხოვრისით უზრუნველყოფისათვის განისაზღვრა უსახლკაროდ რეგისტრირებულ პირთა რიგითობა, კონკრეტული ქულათა მინიჭების სისტემით. ქულათა სრული დამთხვევის შემთხვევაში, კომისია პირის/ოჯახის თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის თაობაზე განაცხადის დაკმაყოფილების რიგითობის დასადგენად ატარებს კენჭისყრას და გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით. რაც უფრო მაღალია ქულა მით უფრო მაღალია თავშესაფრით/საცხოვრისით დაკმაყოფილების შესაძლებლობა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის იურისტმა იქვე დაამატა, რომ პირველ რიგში კმაყოფილდება უფრო მაღალი ქულის მქონე პირები/ოჯახები. იმ შემთხვევაში, თუ პირი რეგისტრირდება უსახლკაროდ, მაგრამ ვერ დაკმაყოფილდა საცხოვრისით, იგი ავტომატურად ჯდება მომლოდინეთა სიაში. ასევე, კომისია საჭიროებისამებრ ამოწმებს აკმაყოფილებს თუ არა თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფილი პირი/ოჯახი, ამ წესით გათვალისწინებულ უსახლკაროდ რეგისტრაციის კრიტერიუმებს.

აზრი გამოთქვეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრი ბატონი **გიორგი ჩაკვეტაძე** დაინტერესდა მიუსაფარი ბავშვების იდენტიფიკაციის თაობაზე, როდესაც აღნიშნულ სუბიექტს არ გააჩნია პირადობის დამადასტურებელი არანაირი დოკუმენტი.

მარიამ ჩივაძემ განმარტა, რომ პირის რეგისტრაცია არის მნიშვნელოვანი გარემოება, რომლითაც ასევე შესაძლებელია თვითმმართველობამ გამიჯნოს სხვა თვითმმართველობისაგან საკუთარი იურისდიქცია.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრი **ნინო ლაცაბიძე** დაინტერესდა, ფიზიკური პირის უსახლკაროდ დასარეგისტრირებელ ერთ-ერთ კრიტერიუმად რატომ განისაზღვრა 2015 წელი.

მომხსენებლის თქმით 2015 წელი გახლავთ ზემონახსენები წესის მიღების თარიღი, რომელიც არ ეხება დადგენილების მიღებამდე შემოსულ და განხილულ შემთხვევებს.

კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, სასურველია, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმად მუნიციპალიტეტის საკრებულოს **ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს დადგენილება.**

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია **სამართლებრივი ტექნიკის** თვალსაზრისით წარმოდგენილი დადგენილების პროექტის **პირველი მუხლის პირველი პუნქტით** ახალი რედაქციით ჩამოყალიბდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის №28-116 დადგენილების **სათაური**, დადგენილების პროექტის **პირველი მუხლის მეორე პუნქტით** ახალი რედაქციით ჩამოყალიბდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის №28-116 დადგენილების **პირველი მუხლი**, ხოლო დადგენილების პროექტის **პირველი მუხლის მესამე პუნქტით** განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის №28-116 დადგენილების **მე-2 და მე-3 მუხლების** ახალი რედაქცია.

ამასთან თავმჯდომარის მითითები, წარმოდგენილი დადგენილების **პროექტს უნდა დაემატოს მე-2 მუხლი, რომელიც ახალი რედაქციით ჩამოაყალიბებს და** შესაბამის ცვლილებებს განახორციელებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის №28-116 დადგენილების **„ბ“** ქვეპუნქტით დამტკიცებულ **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციის განაცხადის ფორმაში.“**

კომისიის თავმჯდომარის თქმით, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის ამოქმედების ვადის მითითება მოხდება დადგენილების **პროექტის** მე-3 მუხლში, ნაცვლად მე-2 მუხლისა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტით გარდა **2015 წლის 27 ნოემბრის №28-116** დადგენილებით დამტკიცებული წესის **პირველი მუხლის პირველი და მეორე პუნქტებისა**, ცვლილება უნდა შევიდეს **პირველი მუხლის მე-3 პუნქტში** და წესის განხორციელების

მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ შექმნილი კომისიის სახელწოდებაში **თავშესაფართან ერთად მიეთითოს საცხოვრისი.**

ამასთან თავმჯდომარის მითითებით, ვინაიდან იცვლება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის №28-116 დადგენილების **სათაური, თავშესაფართან ერთად ეთითება საცხოვრისი** და მთლიანი წესი კორექტირდება ამ სათაურის შესაბამისად, მიზანშეწონილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის **№28-116** დადგენილებით დამტკიცებული წესის **მე-2 და მე-3 მუხლების სათაურები** შესაბამისობაში მოვიდეს აღნიშნულ ცვლილებასთან და **თავშესაფართან ერთად მიეთითოს საცხოვრისი.**

გარდა ამისა ლევან ჟორჟოლიანის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის **№28-116** დადგენილებით დამტკიცებული წესის **მე-2 და მე-3 მუხლების სათაურების** ცვლილებასთან ერთად, **აღნიშნული მუხლების იმ პუნქტებში** რომლებიც არეგულირებენ **მხოლოდ საცხოვრისით უზრუნველყოფის წესს** და იმ პუნქტებში რომელებიც განსაზღვრავენ **მხოლოდ თავშესაფრით უზრუნველყოფის წესს, უნდა განხორციელდეს ცნებების გამიჯვნა და ერთ შემთხვევაში მიეთითოს - მხოლოდ საცხოვრისი, ხოლო მეორე შემთხვევაში - მხოლოდ თავშესაფარი.**

ასევე, **იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის** თქმით, ცვლილება უნდა განხორციელდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2015 წლის 27 ნოემბრის №28-116** დადგენილებით დამტკიცებული წესის **მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტში** და „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის" ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2015 წლის 29 დეკემბრის N33-138** დადგენილების ნაცვლად, რომელიც წარმოადგენს ძალადაკარგულ სამართლებრივ აქტს, მიეთითოს მოქმედი სამართლებრივი აქტი - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის" ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2018 წლის 16 იანვრის N10-23 დადგენილება.**

ამასთან, მიზანშეწონილია წარმოდგენილი დადგენილების პროექტში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის **№28-116** დადგენილებით დამტკიცებული **წესის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტის სათაური** ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით **და** დაკონკრეტდეს, რომ საცხოვრისით უზრუნველყოფისთვის განისაზღვრება უსახლკაროდ რეგისტრირებულ პირთა **ქულათა მინიჭების სისტემა, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება რიგითობა.**

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის **№28-116** დადგენილებით დამტკიცებული **წესის მე-2 მუხლს,** გარდა დადგენილების პროექტით წარმოდგენილი ცვლილებებისა, დაემატოს **მე-10**

პუნქტი, რომლითაც გაიწერება რომ თავშესაფრის შეთავაზება, მოხდება ყველა იმ პირისათვის, ვინც ვერ იქნა უზრუნველყოფილი საცხოვრისით, რეგისტრირებულია უსახლკაროდ და წარმოადგენს ერთ სულიან ოჯახს, გარდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა.

კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის **№28-116** დადგენილებით დამტკიცებული **წესის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ა" ქვეპუნქტში უნდა შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:**

„4. უსახლკაროდ რეგისტრაციის თაობაზე დადებითი რეკომენდაციის შემთხვევაში – კომისია გასცემს ქვემოთ მოცემული რეკომენდაციებიდან ერთ-ერთ რეკომენდაციას:

ა) უსახლკაროდ რეგისტრირებული პირის თავშესაფრით **(ლილოს მიუსაფართა თავშესაფარი)** უზრუნველყოფის შესახებ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შესაძლებლობებისა და არსებული რესურსების შესაბამისად;"

გარდა ამისა, სასურველია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის **№28-116** დადგენილებით დამტკიცებული **წესის მე-3 მუხლისათვის 4[1] მუხლის დამატების ნაცვლად, აღნიშნული წესის მე-3 მუხლში მე-5 და მე-6 პუნქტებად გაიწეროს,** უსახლკაროდ დარეგისტრირებული პირის ავტომატურად მომლოდინეთა სიაში ჩაჯდომის წესი და განისაზღვროს კომისიის მიერ თავშესაფრით უზრუნველყოფის შესახებ რეკომენდაციის მიღების შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღების ფორმა, აღნიშნულის შესაბამისად მოხდეს მე-3 მუხლის პუნქტების ნუმერაციის ცვლილება.

საკითხის წარმომდგენმა ითხოვა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის **№28-116** დადგენილებით დამტკიცებული **წესის მე-3 მუხლში დაემატოს,** რომ **საცხოვრისით** სარგებლობის პირობების განსაზღვრა ხდება **უსახლკარო პირსა/ოჯახსა და ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალურ თავშესაფარს" შორის დადებული ხელშეკრულებით,** რომლის დარღვევა შეიძლება გახდეს საცხოვრისით სარგებლობის შეწყვეტის საფუძველი. აღნიშნულს დაეთანხმა კომისია.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი" წევრმა ქალბატონმა **ელენე ოზაშვილმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა - **თიკო ყოლბაიამ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

თიკო ყოლბაიას თქმით, თბილისის განვითარების ფუნდამენტურ საკითხს წარმოადგენს გაუნაშენიანებელი ტერიტორიების ქაოტური განაშენიანებისგან დაცვა და ამ მიმართულებით ქალაქის სწორი ურბანული პოლიტიკის განსაზღვრა. ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორია ერთ-ერთი გაუნაშენიანებელი არეალია, სადაც ბოლო წლების განმავლობაში მშენებლობებისადმი მოთხოვნა გაზრდილია.

მომხსენებელმა დაამატა, რომ წარმოდგენილი პროექტით განსაზღვრულია ლისის ტბის ტერიტორიაზე არეალი, რომლის ფარგლებშიც შეიზღუდება სამშენებლო განვითარება. კერძოდ, დადგენილების დანართით განსაზღვრული ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიის კომპლექსური კვლევის, მის საფუძველზე ურბანული განვითარების კონცეფციისა და ,,ჩარჩო გეგმის“ შემუშავებამდე, აღნიშნულ ტერიტორიაზე შეიზღუდება:

ა) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებისა ან/და განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცება;

ბ) დამტკიცებულ განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებასა ან/და განაშენიანების რეგულირების გეგმაში ცვლილების შეტანა;

გ) „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებულ დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილების შეტანა დადგენილი ფუნქციური ზონების ცვლილების მიზნით;

დ) მიწის ნაკვეთების ნებისმიერი ფორმით სამშენებლოდ განვითარება (მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება, არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმება, მშენებლობის ნებართვის გაცემა, I კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობაზე წერილობითი დასტურის გაცემა);

პროექტის თანახმად, ზემოაღნიშნული შეზღუდვა არ გავრცელდება:

ა) დადგენილების დანართით განსაზღვრულ ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე იმ საცხოვრებელ ზონებზე (სზ), რომელზეც დამუშავებულია „ჩარჩო გეგმა“ და

რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია განაშენიანების რეგულირებისა (წითელი ხაზ(ებ)ი) და განაშენიანების სავალდებულო ხაზები (ლურჯი ხაზები);

ბ) კოოპერატიული ბინათმშენებლობისთვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთებზე.

გ) მშენებარე შენობა-ნაგებობის შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის მცირედ კორექტირებაზე ან/და მშენებლობის ნებართვის გაცემაზე ან მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელებაზე, რომლის მშენებლობა განხორციელებულია მშენებლობის ნებართვის საფუძველზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროექტით გათვალისწინებული შეზღუდვა არ ვრცელდება ასევე იმ მიწის ნაკვეთებზე, რომელთა მიმართაც ამავე პუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ წარმოებებთან დაკავშირებით წარმოდგენილია დაინტერესებული პირების განცხადებები, თუმცა ადმინისტრაციული წარმოებასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება წინამდებარე დადგენილების ამოქმედების დროისათვის მიღებული არ არის.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარის თქმით, მიზანშეწონილია დადგენილების პრეამბულაში სამართლებრივ საფუძვლად საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 64-ე მუხლის ,,ა“ პუნქტის მითითება, რომლის მიხედვით, თბილისის საკუთარი უფლებამოსილებებია ამ კანონის მე-16 მუხლით გათვალისწინებული უფლებამოსილებები და ამავე კანონის 68-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,კ“ ქვეპუნქტის მითითება, რომლის თანახმად, თბილისის საკრებულოს უფლებამოსილებას, ამ კანონით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების გარდა, აგრეთვე განეკუთვნება ამ კანონის მე-16, მე-17 და 64-ე მუხლებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღება.

ლევან ჟორჟოლიანის განმარტებით, სამართლებრივი ტექნიკის თვალსაზრისით უფრო მიზანშეწონილი იქნება, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მე-2 მუხლის შინაარსი განისაზღვროს N20-105 დადგენილებით დამტკიცებული ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის'' მე-19 მუხლის მე-5 პუნქტად, შესაბამისად გაიწეროს წარმოდგენილი დადგენილების პროექტის პირველი მუხლის ,,ა.ბ“ ქვეპუნქტში და აღნიშნული პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- ა.ბ) მე-19 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტები

3. დანართი N4-ით განსაზღვრული ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიის კომპლექსური კვლევის, მის საფუძველზე ,,ჩარჩო გეგმის" შემუშავებამდე, აღნიშნულ ტერიტორიაზე შეზღუდულია:

ა) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებისა ან/და განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცება;

ბ) დამტკიცებულ განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებასა ან/და განაშენიანების რეგულირების გეგმაში ცვლილების შეტანა;

გ) ამ დადგენილებით დამტკიცებულ დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილების შეტანა დადგენილი ფუნქციური ზონების ცვლილების მიზნით;

დ) მიწის ნაკვეთების ნებისმიერი ფორმით სამშენებლოდ განვითარება (მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება, არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმება, მშენებლობის ნებართვის გაცემა, I კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობაზე წერილობითი დასტურის გაცემა);

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული შეზღუდვა არ ვრცელდება დანართი N4-ით განსაზღვრულ ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ:

ა) საცხოვრებელ ზონებზე (სზ), რომლისთვისაც დამუშავებულია „ჩარჩო გეგმა" და რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია განაშენიანების რეგულირებისა (წითელი ხაზ(ებ)ი) და განაშენიანების სავალდებულო ხაზები (ლურჯი ხაზები);

ბ) მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც გამოყოფილია კოოპერატიული ბინათმშენებლობისთვის;

გ) მშენებარე შენობა-ნაგებობის შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის მცირედ კორექტირებაზე ან/და მშენებლობის ნებართვის გაცემაზე ან მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელებაზე, რომლის მშენებლობა განხორციელებულია მშენებლობის ნებართვის საფუძველზე;

5. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა ვრცელდება ასევე იმ მიწის ნაკვეთებზე, რომელთა მიმართაც ამავე პუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ წარმოებებთან დაკავშირებით წარმოდგენილია დაინტერესებული პირების განცხადებები, თუმცა ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება ამ პუნქტის ამოქმედების დროისათვის მიღებული არ არის."

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარის მითითებით დადგენილების პროექტის მე-3 მუხლი უნდა განისაზღვროს მე-2 პუნქტად.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა ქალბატონმა **ელენე ოზაშვილმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა - **ირაკლი თავართქილაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქ. თბილისში, ზაჰესის დასახლებაში, მშვიდობის ქუჩა N14-ში (საკადასტრო კოდი: 72.12.05.046.01.505) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, ზაჰესის დასახლებაში, მშვიდობის ქუჩა N14-ში მდებარე უძრავი ქონების (22.09 კვ.მ. ფართი), პირდაპირი განკარგვის ფორმით, მოქალაქე გია მღებრიშვილისთვის სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემას.

მომხსენებელმა დასძინა, რომ მოქალაქე გია მღებრიშვილი 1982 წლიდან დღემდე, ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

აზრი გამოთქვეს:

ბატონმა **ლევან ჟორჟოლიანმა** აღნიშნა, რომ სასურველია წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივი დასაბუთების ნაწილში მიეთითოს შემდეგი ნორმები:

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 118[1] მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის მიხედვით, თბილისის უძრავი ქონების, აქციებისა და წილების პირდაპირი განკარგვის ან/და კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს და ხელშეკრულების პირობებს განსაზღვრავს მთავრობა თბილისის საკრებულოს თანხმობით. თბილისის უძრავის ქონების, აქციებისა და წილების პირდაპირი განკარგვის ან/და კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება ხდება მთავრობის

მიერ განსაზღვრული წარმომადგენლის (რწმუნებულის) მეშვეობით ან ამ მიზნით თბილისის მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის მეშვეობით, რომელიც თბილისის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემიდან 3 თვის ვადაში, მთავრობის სახელით დებს ხელშეკრულებას.

ასევე, **„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს **N21-85 დადგენილებით** დამტკიცებული წესის **პირველი მუხლის მე-3 პუნქტი,** რომლის თანახმად, ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების ან/და კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს, ხელშეკრულების/პრივატიზების პირობებსა და საპრივატიზებო ფასს განსაზღვრავს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, ხოლო საკითხს ამზადებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო (შემდგომში - სააგენტო).

აგრეთვე, ამავე წესის **მე-2 მუხლის მე-6 პუნქტი,** რომლის მიხედვით საპრივატიზებო პირობებს განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მთავრობა და ითანხმებს თბილისის საკრებულო.

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, იმის გათვალისწინებით, რომ მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს, განკარგულების პროექტით წარმოდგენილ საკითხზე ქალაქ თბილისის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას, შესაბამისად, სასურველია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაურში ჩაემატოს სიტყვები **“საკითხის შეთანხმების თაობაზე“** და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქ. თბილისში, ზაჰესის დასახლებაში, მშვიდობის ქუჩა N14-ში (საკადასტრო კოდი: 72.12.05.046.01.505) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“.

ამასთან, ვინაიდან, დაინტერესებაში არსებული ქონების გადაცემა ხდება სიმბოლური თანხის - 1 (ერთი) ლარის ოდენობით, სასურველია, აღნიშნული მითითებულ იქნეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში, ასევე გამოსწორებულ იქნეს ამავე პუნქტში არსებული ტექნიკური ხასიათის შეცდომა **(ნაცვლად - „დასახლება“, მითითებულ იქნეს - „დასახლებაში“)**.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა ქალბატონმა **ელენე ოზაშვილმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა - **ირაკლი თავართქილაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქ. თბილისში, ლილოს დასახლების, მე-4 კვარტალის, კორპუს #11-ში (საკადასტრო კოდი: 01.19.27.007.015.01.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქ. თბილისში, ლილოს დასახლების მე-4 კვარტალის კორპუსი #11-ში მდებარე უძრავი ქონების (ფართი 61.74 კვ.მ) **ალექსი მირინაშვილისთვის,** (რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით) სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემას.

აზრი გამოთქვეს:

ბატონი **ლევან ჟორჟოლიანის თქმით,** წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაურში უნდა ჩაემატოს შემდეგი სიტყვები **„საკითხის შეთანხმების"** და განკარგულების სათაური უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ქ. თბილისში, ლილოს დასახლების, მე-4 კვარტალის, კორპუს #11-ში (საკადასტრო კოდი: 01.19.27.007.015.01.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე"

კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში უნდა მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" **118[1] მუხლის მე-3 პუნქტი,** რომლის თანახმად, თბილისის უძრავი ქონების, აქციებისა და წილების პირდაპირი განკარგვის ან/და კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს და ხელშეკრულების პირობებს განსაზღვრავს მთავრობა თბილისის საკრებულოს თანხმობით. თბილისის უძრავის ქონების, აქციებისა და წილების პირდაპირი განკარგვის ან/და კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება ხდება მთავრობის მიერ განსაზღვრული წარმომადგენლის (რწმუნებულის) მეშვეობით ან ამ მიზნით თბილისის მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული

პირის მეშვეობით, რომელიც თბილისის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემიდან 3 თვის ვადაში, მთავრობის სახელით დებს ხელშეკრულებას.

სამართლებრივ საფუძვლებში ასევე უნდა მიეთითოს, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს **N21-85 დადგენილებით** დამტკიცებული წესის **პირველი მუხლის მე-3 პუნქტი** რომლის თანახმად, ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების ან/და კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს, ხელშეკრულების/პრივატიზების პირობებსა და საპრივატიზებო ფასს განსაზღვრავს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, ხოლო საკითხს ამზადებს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო (შემდგომში - სააგენტო).

გარდა ამისა, სამართლებრივ საფუძვლებში უნდა მიეთითოს ამავე წესის **მე-2 მუხლის მე-6 პუნქტი,** რომლის მიხედვით, საპრივატიზებო პირობებს განსაზღვრავს ქ.თბილისის მთავრობა და ითანხმებს თბილისის საკრებულო.

სხდომის თავმჯდომარის მითითებით, ვინაიდან, დაინტერესებაში არსებული ქონების გადაცემა ხდება სიმბოლური თანხის - 1 (ერთი) ლარის ოდენობით, სასურველია, აღნიშნული მითითებულ იქნეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა ქალბატონმა **ელენე ოზაშვილმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

8. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა - **ირაკლი თავართქილაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქ. თბილისში, ლილოს დასახლების, მე-2 მიკრორაიონის კორპუს #5-ში (საკადასტრო კოდი: 01.19.27.002.003.01.025) მდებარე უძრავი

ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, განკარგულების პროექტი ითვალისწინებს ქ. თბილისში, ლილოს დასახლების მე-2 მიკრორაიონის კორპუსი #5-ში მდებარე უძრავი ქონების (ფართი 17.00 კვ.მ) მოქალაქე ლეილა სიფრაშვილისთვის, (რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით), პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - **1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემას.**

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, განკარგულების პროექტის სათაურში უნდა ჩაემატოს შემდეგი სიტყვები **„საკითხის შეთანხმების“** და განკარგულების სათაური უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ქ. თბილისში, ლილოს დასახლების, მე-2 მიკრორაიონის, კორპუს #5-ში (საკადასტრო კოდი: 01.19.27.002.003.01.025) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“

კომისიის თავმჯდომარემ დაამატა, რომ განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში უნდა მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ **118[1] მუხლის მე-3 პუნქტი,** რომლის თანახმად, თბილისის უძრავი ქონების, აქციებისა და წილების პირდაპირი განკარგვის ან/და კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს და ხელშეკრულების პირობებს განსაზღვრავს მთავრობა თბილისის საკრებულოს თანხმობით. თბილისის უძრავის ქონების, აქციებისა და წილების პირდაპირი განკარგვის ან/და კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება ხდება მთავრობის მიერ განსაზღვრული წარმომადგენლის (რწმუნებულის) მეშვეობით ან ამ მიზნით თბილისის მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის მეშვეობით, რომელიც თბილისის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემიდან 3 თვის ვადაში, მთავრობის სახელით დებს ხელშეკრულებას.

სამართლებრივ საფუძვლებში ასევე უნდა მიეთითოს, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს **N21-85 დადგენილებით** დამტკიცებული წესის **პირველი მუხლის მე-3 პუნქტი რომლის თანახმად,** ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების ან/და კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს, ხელშეკრულების/პრივატიზების პირობებსა და საპრივატიზებო ფასს განსაზღვრავს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, ხოლო საკითხს ამზადებს ქ.თბილისის

მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო (შემდგომში - სააგენტო).

გარდა ამისა, სამართლებრივ საფუძვლებში უნდა მიეთითოს ამავე წესის **მე-2 მუხლის მე-6 პუნქტი,** რომლის მიხედვით, საპრივატიზებო პირობებს განსაზღვრავს ქ.თბილისის მთავრობა და ითანხმებს თბილისის საკრებულო.

სხდომის თავმჯდომარის მითითებით, ვინაიდან, დაინტერესებაში არსებული ქონების გადაცემა ხდება სიმბოლური თანხის - 1 (ერთი) ლარის ოდენობით, სასურველია, აღნიშნული მითითებულ იქნეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი" წევრმა ქალბატონმა **ელენე ოზაშვილმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

9. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა - **ირაკლი თავართქილაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქ. თბილისში, ლილოს დასახლების, I მიკრორაიონის კორპუს N2ბ-ში (საკადასტრო კოდი: 01.19.27.009.001.01.019) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლების, I მიკრორაიონის კორპუს N2ბ-ში მდებარე უძრავი ქონების (17.00 კვ.მ.) **მოქალაქე თამარ დარბიაშვილისათვის,** (რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით), პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად **საკუთრებაში გადაცემას.**

აზრი გამოთქვეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა** მომხსენებლის მიმართ დასვა შეკითხვა და დაინტერესდა, რის საფუძველზე ადგენს პოლიცია ფართის ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობის ფაქტს.

მომხსენებელმა განმარტა, რომ აღნიშნულ ფაქტს პოლიცია ადგენს, შეჭრის ფაქტის გამოვლენისას უბნის ინსპექტორების მიერ გაკეთებული ჩანაწერების საფუძველზე.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის - **ლევან ჟორჟოლიანის** თქმით, სასურველია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივი დასაბუთების ნაწილში მიეთითოს შემდეგი ნორმები:

საქართველოს ორგანული კანონის **„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 118[1] მუხლის მე-3 პუნქტი,** რომლის თანახმად, თბილისის უძრავი ქონების, აქციებისა და წილების პირდაპირი განკარგვის ან/და კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს და ხელშეკრულების პირობებს განსაზღვრავს მთავრობა თბილისის საკრებულოს თანხმობით. თბილისის უძრავის ქონების, აქციებისა და წილების პირდაპირი განკარგვის ან/და კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება ხდება მთავრობის მიერ განსაზღვრული წარმომადგენლის (რწმუნებულის) მეშვეობით ან ამ მიზნით თბილისის მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის მეშვეობით, რომელიც თბილისის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემიდან 3 თვის ვადაში, მთავრობის სახელით დებს ხელშეკრულებას.

ასევე, **„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს **N21-85 დადგენილებით** დამტკიცებული წესის **პირველი მუხლის** მე-3 **პუნქტი,** რომლის თანახმად, ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების ან/და კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს, ხელშეკრულების/პრივატიზების პირობებსა და საპრივატიზებო ფასს განსაზღვრავს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, ხოლო საკითხს ამზადებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო (შემდგომში - სააგენტო).

აგრეთვე, ამავე წესის **მე-2 მუხლის მე-6 პუნქტი,** რომლის მიხედვით საპრივატიზებო პირობებს განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მთავრობა და ითანხმებს თბილისის საკრებულო.

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, იმის გათვალისწინებით, რომ მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს, განკარგულების პროექტით წარმოდგენილ საკითხზე ქალაქ თბილისის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას, შესაბამისად, სასურველია, წარმოდგენილი

განკარგულების პროექტის სათაურში ჩაემატოს სიტყვები **„საკითხის შეთანხმების“** და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქ. თბილისში, ლილოს დასახლების, I მიკრორაიონის კორპუს N2ბ-ში (საკადასტრო კოდი: 01.19.27.009.001.01.019) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“

კომისიის თავმჯდომარის თქმით, ვინაიდან, დაინტერესებაში არსებული ქონების გადაცემა ხდება სიმბოლური თანხის - 1 (ერთი) ლარის ოდენობით, სასურველია, აღნიშნული მითითებულ იქნეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში, ასევე გამოსწორებულ იქნეს ამავე პუნქტში, ქალაქ თბილისის მთავრობის განკარგულების სათაურში დაშვებული ტექნიკური ხასიათის შეცდომები.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა ქალბატონმა **ელენე ოზაშვილმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

10. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა - **ირაკლი თავართქილაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, პარკი „მზიურის“ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.14.14.005.156) არსებული 125300 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 6 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული სავაჭრო ობიექტის - ჯიხურის პირდაპირი განკარგვის წესით გიგი ანთაძისთვის (პ/ნ: 01017042136) სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, განკარგულების პროექტი ითვალისწინებს გიგი ანთაძისთვის ქალაქ თბილისში, პარკი „მზიურის“ ტერიტორიაზე არსებული 125300 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან **6 კვ.მ** მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული სავაჭრო ობიექტის - ჯიხურის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, **2 წლის ვადით**, თხოვების ფორმით გადაცემაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემას.

აზრი გამოთქვეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა** მომხსენებლის მიმართ დასვა შეკითხვა და დაინტერესდა, აღნიშნული ქონების გადაცემის საკითხთან დაკავშირებით არის თუ არა წარმოდგენილი გიგი ანთაძის მშობლების თანხმობა, ვინაიდან გიგი ანთაძე გახლავთ არასრულწლოვანი.

საკითხის წარმომდგენმა დაადასტურა, რომ გიგი ანთაძისთვის აღნიშნული ქონების გადაცემა ხდება მისი კანონისმიერი წარმომადგენლის თანხმობით.

კომისიის თავმჯდომარის თქმით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის **N19-78** დადგენილებით დამტკიცებული წესის **მე-2 მუხლის მე-13 პუნქტის ნაცვლად**, რომელიც განსაზღვრავს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ამ მუხლის პირველი, მე-9 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, უსასყიდლო აღნაგობის, უსასყიდლო უზუფრუქტის ან თხოვების ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემას, უნდა მიეთითოს ამავე წესის **მე-2 მუხლის მე-12 პუნქტი,** რომლის თანახმად პირდაპირი განკარგვის წესით თბილისის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა შეიძლება სასყიდლით ან უსასყიდლოდ, პირობით ან უპირობოდ. თბილისის ქონების სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემა **დასაშვებია არაუმეტეს 2 წლის ვადით, გარდა ამ მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.**

თავმჯდომარის მითითებით, სასურველია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ **122[1] მუხლის მე-9 პუნქტის ნაცვლად, მიეთითოს ამავე მუხლის მე-8 პუნქტი**, რომლის თანახმად, თბილისის ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემა შეიძლება სასყიდლით ან უსასყიდლოდ, პირობით ან უპირობოდ. თბილისის ქონების სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემა **დასაშვებია არაუმეტეს 2 წლის ვადით, გარდა ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.**

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

11. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა - **ირაკლი თავართქილაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქ. თბილისში, თამარაშვილის შესახვევი №8-ის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების 821.00 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.07.008.112) და ქ. თბილისში, თამარაშვილის შესახვევი №6-ში იამზე მაისაიას (პ/ნ 62001007924), ნონა ბაქრაძისა (პ/ნ 01008030050) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.14.07.008.012) მესაკუთრეთა უფლებების უცვლელად გაერთიანების, აღნიშნული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და იამზე მაისაიასა (პ/ნ 62001007924) და ნონა ბაქრაძესთან (პ/ნ 01008030050) გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 9 აგვისტოს №29.14.587 განკარგულებასა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 აგვისტოს №323 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს „ქ. თბილისში, თამარაშვილის შესახვევი №8-ის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების 821.00 კვ.მ მიწის ნაკვეთის და ქ. თბილისში, თამარაშვილის შესახვევი №6-ში იამზე მაისაიას ნონა ბაქრაძისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მესაკუთრეთა უფლებების უცვლელად გაერთიანების, აღნიშნული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და იამზე მაისაიასა და ნონა ბაქრაძესთან გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 9 აგვისტოს განკარგულებაში ცვლილების საკითხის შეთანხმებას.

მომხსენებლის თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 9 აგვისტოს განკარგულების თანახმად უძრავი ქონების საპრივატიზებო პირობად განისაზღვრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირის - თბილისის არქიტექტურის სამსახურიდან №01.14.07.008.112 და №01.14.07.008.012 საკადასტრო ერთეულების გაერთიანების შედეგად წარმოქმნილ საკადასტრო ერთეულზე (საკადასტრო კოდი: 01.14.07.008.137) მშენებლობის ნებართვის აღების უზრუნველყოფა, ხოლო საპრივატიზებო პირობად, განისაზღვრა „მყიდველების“ მხრიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის 155 000 (ასორმოცდათხუთმეტი ათასი) აშშ დოლარის (ეკვივალენტით ლარში) გადახდა თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ მშენებლობის

ნებართვის გაცემის შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 (ექვსი) თვისა. განკარგულების შესაბამისად ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 (ექვსი) თვის ვადაში საპრივატიზებო პირობის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის 155 000 (ასორმოცდათხუთმეტი ათასი) აშშ დოლარის (ეკვივალენტით ლარში) გადაუხდელობის შემთხვევაში პრივატიზების ხელშეკრულება ჩაითვლება შეწყვეტილად და აღდგება ხელშეკრულების გაფორმებამდე არსებული მდგომარეობა.

მომხსენებელმა დასძინა, რომ ხელშეკრულების საპრივატიზებო პირობების შესრულების მიზნით, ნონა ბაქრაძემ და იამზე მაისაიამ, 2017 წლის 29 ოქტომბერს განცხადებით მიმართეს „თბილისის არქიტექტურის სამსახურს" ზემომოყვანილ საკადასტრო ერთეულზე მშენებლობის ნებართვის მოსაპოვებლად, სადაც უპასუხეს, რომ საკითხის შესწავლა კვლავაც მიმდინარეობს (აღნიშნული დასტურდება „თბილისის არქიტექტურის სამსახურის" გადაწყვეტილებებით), შესაბამისად, მხარეებმა მოითხოვეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გაგრძელება 2018 წლის 4 სექტემბრამდე.

ირაკლი თავართქილაძემ დაამატა, რომ აღნიშნული საკითხის შესწავლა და მშენებლობის ნებართვის გაცემა დროულად ვერ მოხერხდა იმ მიზეზით, რომ ზემოხსენებული მიწის ნაკვეთი განლაგებულია სტიქიის ზონაში, რის გამოც მათი მოთხოვნის საფუძველზე დაიგეგმა დამატებითი გარემოსდაცვითი კვლევების ჩატარება შესაბამისი დასკვნების მიღების მიზნით.

აზრი გამოთქვეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა** მომხსენებლის მიმართ დასვა შეკითხვა და დაინტერესდა ზემოხსენებული კვლევების შედეგებით.

ქალბატონი **ლილე ლიპარტელიანი** ასევე დაინტერესდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაკვეთილი კვლევების მიხედვით (რომელსაც უნდა გამოევლინა დატბორვის ზონები), აღნიშნული მიწის ნაკვეთები ხომ არ მოხვდა აღნიშნულ ზონაში.

მომხსენებლის თქმით, ზემოხსენებული მიწის ნაკვეთები განლაგებულია სტიქიის ზონაში. რომელიც არ განეკუთვნება დატბორვის ზონას, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაკვეთილი კვლევების მიუხედავად, აღნიშნულ ტერიტორიაზე ინვესტორის მხრიდან ასევე ჩატარდა დამატებითი კვლევები, რომლის შედეგებიდან გამომდინარე გაიცა მშენებლობის ნებართვა.

ბატონი **ლევან ჟორჟოლიანის** თქმით, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ შეიმუშავა სამართლებრივი ტექნიკის თვალსაზრისით უფრო გამართული

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელსაც წარმოადგენს დანართის სახით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა ქალბატონმა **ელენე ოზაშვილმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად გადაწყვიტეს, რომ წარმოდგენილი საკითხი განხილულ იქნეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ დასკვნაზე დანართად წარდგენილი სამართლებრივი აქტის სახით.+

მოისმინეს:

12. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა - **ირაკლი თავართქილაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, ლიბანის I ჩიხი #2-ში (საკადასტრო კოდი: # 01.11.03.004.005) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ლიბანის I ჩიხი №2-ში მდებარე უძრავი ქონების, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** იმ პირთათვის საკუთრებაში გადაცემას, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა ქალბატონმა **ელენე ოზაშვილმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

13. 14. 15 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა - **ირაკლი თავართქილაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინნებული რიგით მე-13, მე-14 და მე-15 საკითხები, რომლებიც ეხებოდა

მიწისქვეშა ავტოსადგომების მოწყობის თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონებას. მომხსენებლის განმარტებით ამჯერად სამ ლოკაციაზე ხდება ინტერესთა გამოხატვის გამოცხადება, ვარკეთილის მეტროს, რკინიგზის სადგურის და გეგეშიძის ბაღის მიმდებარედ.

მომხსენებლის განმარტებით, გამოცხადებულია ინტერესთა გამოხატვა ინვესტორის შერჩევაზე, რომელიც ჩაატარებს კვლევას და გადაწყვეტილების მიღების შემდგომ ააშენებს მრავალდონიან მიწისქვეშა ავტოსადგომებს, რომლებსაც შემდგომ უსასყიდლოდ გადმოსცემს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს.

ირაკლი თავართქილაძის თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაკვეთილი, ჩატარებული ზოგადი კვლევების შედეგად გამოვლინდა კონკრეტული ლოკაციები, რომლებზეც არის ყველაზე დიდი მოთხოვნა, აღნიშნული მრავალდონიანი ავტოსადგომების მშენებლობისა და რომლებზეც უსაფრთხოების სტანდარტების გათვალისწინებით განისაზღვრა მინიმალური პარკირების ადგილების რაოდენობა.

მომხსენებელმა ისაუბრა აგრეთვე, გამარჯვებული ინვესტორის მიერ ჩატარებული დეტალური კვლევების შემდგომ, პროექტში შესატან მოსალოდნელ ცვლილებებზე.

ირაკლი თავართქილაძემ დასძინა, რომ **ინტერესთა გამოხატვის გამოცხადების მიზანია** მთავრობის განკარგულებებით განსაზღვრული პირობებით ზემოხსენებულ ტერიტორიებზე მრავალდონიანი მიწისქვეშა ავტოსადგომების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიური შესწავლის, მშენებლობის, ოპერირებისა და **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის გადმოცემის უზრუნველყოფა ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის მიერ.**

ირაკლი თავართქილაძის განმარტებით, სხდომაზე წარმოდგენილი განკარგულების პროექტები ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, განსაზღვრულ სამ ლოკაციაზე მრავალდონიანი მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ოპერირებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის გადმოცემის თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონებას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულებების დანართების შესაბამისად.

მომხსენებელმა თქმით, გეგეშიძის ბაღის მიმდებარედ მრავალდონიანი მიწისქვეშა ავტოსადგომის მიწის ნაკვეთის სავარაუდო ფართობია **2250კვ.მ.** ხოლო ავტოსადგომების მინიმალურ ოდენობად განსაზღვრულია **-175 ერთეული.**

ირაკლი თავართქილაძემ დასძინა, რომ ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულ პირს ქონება გადაეცემა პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, **აღნაგობის ფორმით,** სიმბოლურ ფასად - **1 (ერთი) ლარად, აღნაგობის ვადად** კი განსაზღვრულია **27 წელი** შესაბამისი მშენებლობის ნებართვის მოპოვებიდან.

მომხსენებლის თქმით ვარკეთილის მეტროს მიმდებარედ, სავარაუდოდ 840 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე იგეგმება მრავალდონიანი მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობა, რომელიც მოიცავს მინიმუმ 70 ერთეულ ავტოსადგომს.

ირაკლი თავართქილაძის განცხადებით, ინტერესთა გამოხატვის პირობების თანახმად, ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით მოხდება უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად- 1 (ერთ) ლარად გადაცემა. ხოლო, აღნაგობის ვადად განისაზღვრება: შესაბამისი მშენებლობის ნებართვის მოპოვებიდან 26 წელი და 6 თვე.

მომხსენებლის თქმით, რკინიგზის სადგურის მიმდებარე მრავალდონიანი მიწისქვეშა ავტოსადგომის მიწის ნაკვეთის სავარაუდო **ფართობია 5084 კვ.მ.** ავტოსადგომების მინიმალური რაოდენობაა **470 ერთეული.** გამარჯვებულ პირს ქონება გადაეცემა პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლების აღნაგობის ფორმით, სიმბოლურ ფასად **1 (ერთი) ლარად.** აღნაგობის ვადა განისაზღვრება შესაბამისი მშენებლობის ნებართვის მოპოვებიდან **27 წელი და 6 თვე.**

ირაკლი თავართქილაძემ იქვე დაამატა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 25 აპრილის **№18.246.474, N 18.245.475, №18.244.476** განკარგულებებზე თანდართული ინტერესთა გამოხატვის პირობებით განსაზღვრულია პროექტის აღწერილობა, ძირითადი ვადები, საბანკო გარანტიები, ინტერესთა გამოხატვაში მონაწილეობის აუცილებელი პირობები, გამარჯვებული პირის გამოვლენის წესი და კრიტერიუმები, პროექტის განხორციელების ძირითადი პირობები და ინტერესთა გამოხატვაში მონაწილეობის ვადა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა განმარტა, რომ ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულ პირს/პირებს უძრავი ქონება გადაეცემა მიწისზედა ტერიტორიის მშენებლობის/ოპერირების უფლების გარეშე, გარდა უშუალოდ და პირდაპირ ავტოსადგომის მშენებლობასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის (ჩასასვლელ-ამოსასვლელი კვანძების) მოწყობის უფლებისა. ამასთან, გამარჯვებული პირი ვალდებული იქნება ავტოსადგომის საქმიანობის პროფილი შეინარჩუნოს უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსთან დადებული აღნაგობის ხელშეკრულების ვადის ფარგლებში, ხოლო, ვადის გასვლის შემდგომ უძრავი ქონება ავტოსადგომთან ერთად ყოველგვარი საზღაურის გარეშე გადასცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ოპერირებად მდგომარეობაში.

აზრი გამოთქვეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრი ქალბატონი **ლილე ლიპარტელიანი** დაინტერესდა მრავალდონიანი ავტოსადგომების მშენებლობამდე ჩასატარებელი კვლევების თაობაზე და მომხსენებლის მიმართ დასვა შეკითხვა იმის თაობაზე, რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ გეოლოგიური კვლევის შედეგებიდან გამომდინარე შეუძლებელი იქნება მშენებლობის დაწყება.

ირაკლი თავართქილაძის თქმით, თეორიულად შესაძლებელია ნებისმიერი ტიპის მშენებლობის განხორციელება, ხოლო პროექტის ტექნიკურ მაჩვენებლებთან ერთად ასევე გასათვალისწინებელია პროექტის ეკონომიკური მაჩვენებლები.

მომხსენებელმა ასევე განმარტა, რომ თუკი კვლევების შედეგად დადასტურდება პროექტის ეკონომიკური მაჩვენებლების გაუარესება და ინვესტორი უარს განაცხადებს პროექტის განხორციელებაზე, ჩატარებული კვლევის შედეგების სანაცვლოდ მას დაუბრუნდება საბანკო გარანტია.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა აღნიშნულ ავტოსადგომებზე პარკირების საფასურის რეგულაციის თაობაზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა განმარტა, რომ აღნიშნულ ავტოსადგომებზე ფასის დარეგულირების პრეროგატივა ექნება თავად ინვესტორს, ბაზარზე არსებული ფასების გათვალისწინებით.

ლევან ჟორჟოლიანი ასევე დაინტერესდა იმის თაობაზე, თუ რა ტიპის გამოცდილება მოეთხოვება ინვესტორს.

ირაკლი თავართქილაძის განმარტებით, ვინაიდან, აღნიშნული პროექტი გახლავთ უპრეცედენტო და საკმაოდ რთული, მოსალოდნელია ინვესტორის მხრიდან პროექტის განხორციელების პროცესში დამატებითი ხარჯების გაღება, შესაბამისად სამუშაო გამოცდილებაზე მეტად გადამწყვეტი კრიტერიუმი იქნება ინვესტორის საბანკო გარანტია და ფინანსური შესაძლებლობები.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრის ქალბატონი **ნინო ლაცაბიძის** კითხვაზე, არის თუ არა ჩატარებული წინასწარი ბაზრის კვლევა საკითხის გარშემო დაინტერესების თაობაზე, **ირაკლი თავართქილაძემ** უპასუხა დადებითად.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრმა **ნინო ლაცაბიძემ** დასვა შეკითხვა, ავტოსადგომების სრული ფართის 1/3-ზე კომერციული ობიექტების განთავსების შესაძლებლობის შესახებ.

ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ ავტოპარკინგზე მინიმალური საპარკინგე ადგილების მოწყობის შემდგომ, დამატებითი შეთანხმების შემთხვევაში შესაძლებელია განხილული იყოს აღნიშნული საკითხი, ასევე **ირაკლი თავართქილაძემ** დაამატა, რომ ინვესტორის მიერ ჩატარებული დეტალური კვლევების შემდგომ ასევე განიხილება ცალკეული პარამეტრების ცვლილება.

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა** მომხსენებელს დაუსვა შეკითხვა და დაინტერესდა, აღნიშნულ ობიექტზე კომერციული ფართების განთავსების შემთხვევაში სრულად დაბრუნდება თუ არა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რაიმე უპირატესი უფლების გარეშე.

ირაკლი თავართქილაძის თქმით, ვადის გასვლის შემდგომ, ინვესტორი მთლიანად, უსასყიდლოდ დააბრუნებს ობიექტს ყველანაირი უპირატესი უფლების გარეშე.

ბატონი **ლევან ჟორჟოლიანის** თქმით, სასურველია წარმოდგენილ სამივე განკარგულების პროექტს სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ **61-ე მუხლის მე-2 პუნქტი** რომლის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს **განკარგულება.**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის თქმით, წარმოდგენილ განკარგულებების პროექტებს, ასევე უნდა მიეთითოს **გასაჩივრების ვადა,** ვინაიდან საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის **52-ე მუხლის მე-2 ნაწილის** თანახმად, წერილობითი ფორმით გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში უნდა მიეთითოს ის ორგანო, რომელშიც შეიძლება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება, მისი მისამართი და **საჩივრის წარდგენის ვადა,** შესაბამისად, სამივე განკარგულების **მე-2 პუნქტი** უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს **ერთი თვის ვადაში,** კანონმდებლობით დადგენილი წესით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, N6).“

ლევან ჟორჟოლიანმა ასევე მიუთითა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-14 საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში და განკარგულების პროექტის პირველ მუხლში არასწორად არის მითითებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების ნომერი. აღნიშნული უნდა გასწორდეს და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების ნომერი მიეთითოს შემდეგნაირად: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 25 აპრილის №18.245.475 განკარგულება“.

რიგით მე-15 საკითხთან დაკავშრებით **კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა,** რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში და ასევე განკარგულების პროექტის პირველ მუხლში არასწორად არის მითითებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების **ნომერი.** აღნიშნული უნდა გასწორდეს და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების ნომერი

მიეთითოს შემდეგნაირად: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 25 აპრილის **№18.244.476** განკარგულება“.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ N13, N14, N15 საკითხებთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ სამივე განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანი

სხდომის მდივანი ნინო ჯალაღანია